



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
(ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების¹ შესახებ)

შპს ქართულ-გერმანული სკოლა სხივი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ლელა ჯაში - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი.

წევრ(ებ)ი:

ირმა ავალიანი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;

ეკა სიმსივე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;

გიორგი ნებიერიძე - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;

ლედი კუთხაშვილი - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;

ნინო მარლიშვილი - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;

მარი ფალელაშვილი - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;

ციცინო თორია - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;

ქეთევან ქობალია - სპორტის საგნობრივი ექსპერტი;

მანანა როსტომაშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.

¹ შენიშვნა: ადმინისტრაციული წარმოების მიზნებიდან და შესაბამის ბრძანებაში განსაზღვრული შემოწმების ფარგლებიდან გამომდინარე, შესაძლოა დასკვნის ფორმის ყველა გრაფა არ შეივსოს ან დასკვნა დაიწეროს თხრობითი სახით.

ნაწილი I. შესავალი

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):

- ☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება
- ☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა
- ☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება
- ☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☒ გეგმიური

☐ არაგეგმიური

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	შპს ქართულ-გერმანული სკოლა სხივი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	205257407

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქ. თბილისი
ფაქტობრივი მისამართი	ვაკე-საბურთალოს რაიონი, დიდმის სასწავლო საცდელი მეურნეობა, ნაკვეთი 368
საფოსტო ინდექსი	0159
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skhivi.edu.ge/
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	skhivi@skhivi.edu.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	(+995 32) 2596701

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება MES 2 24 0000441714, 18.04.2024წ.
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	29 აპრილი, 2024წ.

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ (ივსება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატების წარმოებაზე)

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, რომლის დამატებაც სურს სკოლას.

ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი - I-VI კლასები;	ქართული ენა	თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, დილმის სასწავლო საცდელი მეურნეობა, ნაკვეთი 368
ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო - VII-IX კლასები;	ქართული ენა	თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, დილმის სასწავლო საცდელი მეურნეობა, ნაკვეთი 368

ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო - X-XII კლასები.	ქართული ენა	თბილისი, ვაკე- საბურთალოს რაიონი, დიდმის სასწავლო საცდელი მეურნეობა, ნაკვეთი 368
--	-----------------------------	-------------	--

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების MES 2 24 0000441714, 18.04.2024წ. საფუძველზე, მიმდინარე წლის 29 აპრილს განხორციელდა გეგმური მონიტორინგი შპს ქართულ-გერმანულ სკოლა სხივში (შემდგომში სკოლა, დაწესებულება). ექსპერტების ჯგუფს (თავმჯდომარე: ლელა ჯაში - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრები: ირმა ავალიანი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, ეკა სიმსივე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, გიორგი ნებიერიძე - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, ლედი კუთხაშვილი - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, ნინო მარდიშვილი - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, მარი ფალელაშვილი - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, ციციწო თორია - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი) დაევალა სამივე საფეხურის კურიკულუმის შესაბამისობის შეფასება „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტთან. საგნობრივ ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ ონლაინ რეჟიმში გასაუბრებოდნენ მასწავლებლებს და მოეპოვებინათ მათთვის საჭირო ინფორმაცია მეორე სტანდარტთან დაკავშირებით, გარდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტისა, რომელმაც ვიზიტის პერიოდში განიხილა მოწოდებული დოკუმენტაცია, დაათვალიერა სასწავლო გარემო და გაესაუბრა საგნობრივი კათედრის

წარმომადგენლებს. სკოლის მოსწავლეებთან და მშობლებთან ექსპერტების კომუნიკაციამ კიდევ უფრო ნათელი გახადა დაწესებულებაში მიმდინარე პროცესები. ვიზიტის ბოლოს, ექსპერტებმა მიაწოდეს ინფორმაცია სკოლის წარმომადგენლებს იმ მიგნებების შესახებ, რომელიც სამუშაო პროცესში გამოიკვეთა.

აღსანიშნავია, რომ წარმოების ფარგლებში საგნობრივ ექსპერტებს, სხვა საკითხებთან ერთად, უნდა განხორციელებინათ სასწავლო პროცესში გამოყენებული კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო რესურსების, ასევე, ადამიანური რესურსის (პედაგოგები) კვალიფიკაციის შესაბამისობის დადგენა მოქმედ კანონმდებლობასთან. ზემოაღნიშნული განხორციელდა ინტერვიუების, შესყიდვების დოკუმენტაციის, თანამშრომელთა პირადი საქმეების, სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან პედაგოგების პორტირებული მონაცემების განხილვის, ასევე, იმ ფოტომასალის საფუძველზე, რომელიც ვიზიტის შემდეგ ჯგუფის ხელმძღვანელის მიერ გადაეგზავნათ ექსპერტებს.

რაც შეეხება ვიზიტის შინაარსობრივ ნაწილს:

ექსპერტებმა სკოლის წარმომადგენლებთან ერთად დეტალურად განიხილეს 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო-სასწავლო გეგმა. კერძოდ, როგორც ზემოაღნიშნული დოკუმენტის გაცნობისას აღმოჩნდა, მიუხედავად ეროვნულ სასწავლო გეგმაში განხორციელებული ძირეული ცვლილებებისა, სასკოლო-სასწავლო გეგმაში აღნიშნულმა ასახვა არ პოვა (გარდა, სავალდებულო საკითხებისა). ექსპერტების კითხვაზე, რით იყო აღნიშნული განპირობებული სკოლის წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ გეგმავენ გარკვეულ ცვლილებებს სასწავლო წლის დასრულების შემდეგ, თუმცა, პილოტირების რეჟიმში. ექსპერტებისთვის სრულიად მისაღები აღმოჩნდა დაწესებულების ეს პოზიცია - მათი მიდგომა ითვალისწინებს პროცესების საფუძვლიან შესწავლას, კვლევას და მხოლოდ ამის შემდეგ, არგუმენტირებული გადაწყვეტილების მიღებას.

გარკვეული კითხვებით მიმართა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა დაწესებულების წარმომადგენლებს სკოლაში მოქმედი რემედიაციის პროგრამის შესახებაც. სასკოლო სასწავლო გეგმაში არსებული ჩანაწერის მიხედვით, რემედიაცია გულისხმობს იმ მოსწავლეთა მხარდაჭერას, რომელთა წლიური შეფასება 5,0 დაბალია. სწორედ საშემოდგომო გამოცდამდე ვალდებულია დაწესებულება, ზემოაღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, უზრუნველყოს მოსწავლეთა ჩართვა პროგრამაში. თუმცა, სასკოლო სასწავლო გეგმაში მკაფიოდ არის წარმოჩენილი ის ნაბიჯები (მაგ.

დამატებითი გაკვეთილები), რომელსაც სკოლა სთავაზობს იმ მოსწავლეებს, რომელთაც სასწავლო წლის მიმდინარეობისას აღენიშნებათ სიძნელები სწავლაში. შესაბამისად, დაწესებულება რეალურად რემედიაციას ახორციელებს პრობლემის გამოკვეთისთანავე - უზრუნველყოფს მოსწავლეების მხარდაჭერას, რაც დადასტურდა როგორც დოკუმენტაციის შესწავლის, ასევე, სკოლის მოსწავლეებთან, მშობლებთან და მასწავლებლებთან გასაუბრებისას.

ვიზიტის დროს ექსპერტებმა დაწესებულების წარმომადგენლებთან ერთად განიხილეს 2.4.1.2. ინდიკატორის მოთხოვნა - „იქმნება კურიკულუმის განვითარების და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტი“. როგორ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას გაირკვა, დაწესებულებას სხვადასხვა დოკუმენტში (ოქმები, ანგარიშები, პრეზენტაციები, გამოკითხვის შედეგები) ასახული ჰქონდა კურიკულუმის შემუშავების პროცესში წინა წლის/წლების მიგნებები/მონაცემები, თუმცა, ექსპერტების რეკომენდაციის და ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფორმის (დანართი N6¹) საფუძველზე, ვიზიტის მიმდინარეობისას დაწესებულებამ წარმოადგინა „შპს ქართულ გერმანული სკოლა სხივის კურიკულუმის განვითარების და მხარდაჭერის საჭიროებათა პაკეტი“ (სკოლის დირექტორის ბრძანება N7/38, 29.04.2024წ.) - მოახდინა მონაცემების აკუმულირება და ერთ დოკუმენტად ჩამოყალიბება.

ანალოგიური ცვლილება შეეხო 2.1.2.2 ინდიკატორით მოთხოვნილ მტკიცებულებას - „სასკოლო კურიკულუმში განსაზღვრულია სწავლის შედეგები, საგნობრივი ჯგუფების მიხედვით“ - მიუხედავად იმისა, რომ სწავლის შედეგები ასახულია სკოლის მიერ მოწოდებულ სხვადასხვა დოკუმენტში (მაგ. შეფასების სქემები, შემაჯამებელი დავალებები), დაწესებულებამ ვიზიტის დროს განახორციელა ცვლილება სასკოლო სასწავლო გეგმაში (სკოლის დირექტორის ბრძანება 7/37, 29.04.2024წ.) და სასკოლო სასწავლო გეგმის დანართად (N10) განსაზღვრა სწავლის შედეგები საგნობრივი ჯგუფების მიხედვით, რაც ასახვას პოვებს კურიკულუმებში.

როგორც დაწყებითი საფეხურის ექსპერტის, მანანა როსტომაშვილის ანგარიშიდან (გაწეული მუშაობის შესახებ, 29/04/2024წ.) ირკვევა, ინტერვიუების პროცესში, დამატებითი დამაზუსტებელი კითხვებით, მან მიიღო ამომწურავი ინფორმაცია პედაგოგების მხრიდან. დაწყებითი საფეხურის ფარგლებში არსებული მდგომარეობის უკეთ შესწავლის მიზნით, მას ჰქონდა მჭიდრო კავშირი სახელმწიფო ენის, მათემატიკის, ბუნებისმეტყველებისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტებთან როგორც სატელეფონო, ასევე, ელექტრონული ფოსტისა და კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებების გამოყენებით. მათ,

ფაქტობრივად, ერთდროულად წარმართეს ინტერვიუების პროცესი, იმოქმედეს შეთანხმებულად. დაწყებითი საფეხურის ექსპერტის მიერ მოთხოვნილი და მოძიებული ინფორმაცია აისახა საგნობრივი ექსპერტების დასკვნაში.

ექსპერტის მიგნებები შემდეგია:

- დაწყებითი საფეხური პედაგოგები მჭიდროდ თანამშრომლობენ ერთმანეთთან და უზიარებენ მიღებულ გამოცდილებას ერთმანეთს. აქვთ კურიკულუმებზე მუშაობისა და გადამუშავებული კურიკულუმის შექმნის გამოცდილება, გამოხატავენ მზაობას, რომ კიდევ უფრო დახვეწავენ და გაამდიდრებენ მას წარმატებული პრაქტიკის მაგალითებით.
- სკოლა წინა წლებში იყენებდა სადიაგნოსტიკო შეფასებას დაწყებით საფეხურზე საბაზისო უნარების: კითხვისა და მათემატიკის მიმართულებით, თუმცა, მიმდინარე წელს არ განუხორციელებიათ აღნიშნული.

დაწყებითი საფეხურის ექსპერტის მიერ გაცემული რჩევაა - პედაგოგებმა განაახლონ სადიაგნოსტიკო შეფასებები ორივე მიმართულებით მომავალი სასწავლო წლიდან, რადგან, სასწავლო წლის დასაწყისში, ზაფხულის შემდგომ, მოსწავლეთა ცოდნისა და უნარების კვლევა და ანალიზი გამოკვეთს სწორ ორიენტირებს, თუ რა მიმართულებით უნდა წარმართონ მუშაობა, რა აუცილებელი ქმედებები უნდა განახორციელონ იმისათვის, რომ საკმარისად გააქტიურდეს წინარე ცოდნა და შეიქმნას კარგი ბაზისი ახალი ცოდნის ასაგებად. შემდეგ კვლავ, სავარაუდოდ, სასწავლო წლის ნახევარში გადამოწმდეს მიღებული შედეგები სადიაგნოსტიკო ან სკრინინგ ტესტირებით და საჭიროების შემთხვევაში კვლავ განხორციელდეს ინტერვენციები წლის მეორე ნახევარში, რომელიც სასწავლო წლის ბოლოს, ისევ დიაგნოსტიკითა და ანალიზით დასრულდება. აღნიშნული შექმნის შესაძლებლობას მომდევნო წლის კურიკულუმებში ზუსტად გაიწეროს ეროვნული სასწავლო გეგმის ის შედეგები, რაც მეტ ყურადღებასა და დამუშავებას მოითხოვს, რათა უზრუნველყოფილ იქნას საფეხურებრივი შედეგების მიღწევა.

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
460	314

VIII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

შპს ქართულ გერმანული სკოლა სხივი სწავლა-სწავლების პროცესთან ერთად, მოსწავლეებს სთავაზობს სხვადასხვა შინაარსის და ფორმატის აქტივობებს, რომლებიც დადებითად აისახება როგორც მათი, ასევე, სკოლაში დასაქმებული თანამშრომლების განვითარებაზე. მათგან ერთ-ერთია ქართული ენის ოლიმპიადი, სადაც მონაწილეობა შეუძლიათ კერძო და საჯარო სკოლის, როგორც ქართული, ასევე არაქართულენოვანი სკოლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის (I-XII კლასის) მოსწავლეებს, ასევე პედაგოგებს. ოლიმპიადის ნომინანტები 3 (სამი) სხვადასხვა მიმართულებით ირჩევა - საუკეთესო კალიგრაფი, მხატვრული კითხვის ოსტატი, საუკეთესო მუსიკალური ნომერი.

აღსანიშნავია სკოლის მიერ ორგანიზებული STEM ფესტივალი 2023 წლის ივნისის თვეში. აღნიშნული ფესტივალი მიზნად ისახავდა საბუნებისმეტყველო საგნების მიმართ დაინტერესების გაზრდას და ორგანიზებული იყო ორი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების - შპს „ქართულ-გერმანულ სკოლა სხივის,, და შპს „ნიკო ნიკოლაძის სახელობის სკოლა-ლიცეუმს“ შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე.

საკმაოდ შთამბეჭდავია დაწესებულების მიერ დაგეგმილი ღონისძიებების ნუსხა - მთელი სასწავლო წლის განმავლობაში სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს სხვადასხვა, თემატურ აქტივობებს - მათ შორის, გასვლით ღონისძიებებს, საქველმოქმედო აქციების ორგანიზებას, პრეზენტაციებს. მაგალითად, მიმდინარე წლის ოქტომბრის თვეში სკოლამ აღნიშნა ცხოველთა დაცვის და ხელების დაბანის საერთაშორისო დღე. ნოემბერში - მისალმების და ტელევიზიის საერთაშორისო დღე და ა.შ.

სკოლის ძლიერი მხარეა რეგულარული, სამუშაო შეხვედრები თანამშრომლებთან - განსახილველი საკითხები მრავალფეროვანი, მიზნობრივი და მოსწავლეთა განვითარებაზეა ორიენტირებული. მშობელთა კრება-კონფერენცია - მშობლებთან ეფექტური კომუნიკაციის ერთ-ერთი ნათელი მაგალითია. აღნიშნული აქტივობის ფარგლებში, მშობლებს საშუალება აქვთ ინდივიდუალურად გაესაუბრონ თავისი შვილების პედაგოგებს (ფორმატი - სკოლაში ერთდროულად ყველა მასწავლებელი ინდივიდუალურ მაგიდაზეა განთავსებული და დაინტერესებულ მშობელს აწვდის ინფორმაციას მოსწავლის შესახებ).

საინტერესოა სკოლის მიერ ორგანიზებული ყოველთვიური ღონისძიება - სკოლის ღირებულებების განხილვა და მასთან დაკავშირებული ღონისძიებების ჩატარება. მაგალითად, თვის ღირებულებასთან (პასუხისმგებლობა) დაკავშირებული აქტივობები მოიცავს - საკლასო წესების შემუშავებას, თემატური პროექტის მომზადებას, პრეზენტაციას, პოსტერის შექმნას და ა.შ.

დაწესებულება აქცენტირებას აკეთებს მოსწავლეთა პროფესიულ ორიენტაციაზე, მათ შორის, უცხოეთის უნივერსიტეტებში სწავლის გაგრძელების ხელშეწყობის მიზნით სკოლაში დასაქმებულია პირი, რომელიც მოსწავლეებს აწვდის ინფორმაციას სხვადასხვა სპეციალობებზე, კარიერულ გზებზე, რომლებიც შეესაბამება დამამთავრებელი კლასის მოსწავლეთა ინტერესებს და მისწრაფებებს. შთამბეჭდავია უცხოეთის უნივერსიტეტებში მიმდინარე წელს გრანტით ჩარიცხული მოსწავლეთა მონაცემებიც.

IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე
გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

შპს ქართულ-გერმანული სკოლა სხივის მიერ სრულად იქნა გაიზიარებული ექსპერტების მოსაზრებები, მიგნებები და რჩევები, რაც დადასტურდა დაწესებულების წერილით N4/53, 28.05.2024წ.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება
გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი - დაწყებითი საფეხური	ხარვეზი
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი - საბაზო საფეხური	ხარვეზი
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი - საშუალო საფეხური	ხარვეზი
ინდიკატორი N....		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)²

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		

V. რჩევები

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

² გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი _ დაწყებითი საფეხური	რჩევა
ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - კურიკულუმის ჩარჩოში დაგეგმილი მუალედური მიზანი, რომელიც წარმოადგენს კონკრეტულ თემასთან დაკავშირებულ კომპლექსური ბუნების დავალებას/შემოქმედებით პროდუქტს, დაურთეთ იქვე, სტრუქტურის დაცვით(სჯობს, დავალების პირობაში გამოკვეთილი იყოს: საკითხი, პროდუქტი, შეფასების კრიტერიუმები სამიზნე ცნებებთან და მკვიდრ წარმოდგენებთან მიმართებით) მე-3 კლასში - კურიკულუმის ჩარჩოში მკვეთრად გამოიკვეთოს სავალდებულო თემები: ჩემი ქვეყნის ბუნება და მზის სისტემა, მე-4 ში ღელამიწა და ციკლური პროცესები. საკითხების ჩამონათვალი დაჯგუფდეს ძირითად საკითხად ან საკითხთა მსხვილ კლასტრად. მიეთითოს კონტექსტ-მაგალითები იმ საკითხებისთვის, რომელშიც სრულდება მუალედური მიზანი კომპლექსური ბუნების დავალების სახით. კონტექსტ-მაგალითი შესაძლოა, ავილოთ თუნდაც საკუთარი გამოცდილებიდან ან ალტერნატიული სახელმძღვანელოებიდან. მე-5 კლასში გასწორდეს სამიზნე ცნებები და სავალდებულო თემები, მე-6 ში კომპლექსური დავალების იდეა - “მინა” ჩარჩოშივე განვრცობილ იქნას, ხოლო პირობა მოექცეს ჩარჩოს ქვევით იმავე დოკუმენტში. საზოგადოებრივი მეცნიერებები - სასურველი იქნება მე-3 კლასის მე და საზოგადოების კურიკულუმში გაიწეროს კონტექსტ-მაგალითები მე-3 და მე-4 კლასის მე და საზოგადოების კურიკულუმებში ყველა თემაში დამუშავდეს ყველა ცნება. მე-5 და მე-6 კლასების ჩვენი საქართველოს კურიკულუმში გაიწეროს ძირითადი კონტექსტ მაგალითები და მაგალითები შედარებისთვის. ჩვენი საქართველოს კურიკულუმებში ყველა თემაში დამუშავდეს ყველა ცნება.

		ესთეტიკური აღზრდა -სკოლის მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი თემები და საკითხები უზრუნველყოფს სასწავლო შედეგების მიღწევას, თუმცა III, IV, V და VI კლასის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმები არ მოიცავს წლის მანძილზე განსახორციელებელ ყველა თემას. აღნიშნული ოთხი კლასის კურიკულუმში წარმოდგენილია მხოლოდ ორ-ორი თემა. III კლასის კურიკულუმში, თემების ფარგლებში, მუშავდება ყველა სამიზნე თემა, თუმცა მხოლოდ ორია დოკუმენტში მითითებული. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ აღნიშნულ კლასებში, გარდა კურიკულუმში მითითებული თემებისა, მუშაობა ხდება სხვა თემებზეც, ხოლო მესამე კლასში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება. მასწავლებლებს მიეცათ რჩევა, რომ კურიკულუმებში ასახონ წლი მანძილზე გასავლელი ყველა თემა და სამიზნე ცნება. ტექნოლოგიები - ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად ყველა კლასში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება მათემატიკა - დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში ზოგ შემთხვევაში არაა დაცული თემებისა და საკითხების შესაბამისობა. კურიკულუმი შემუშავდეს ესგ-ს სტანდარტის შესაბამისი სავალდებულო თემების/საკითხების/ქვესაკითხების შესაბამისად.
ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - მიუთითეთ საგნობრივ კურიკულუმში თემისათვის /საკითხისთვის დათმობილი სავარაუდო საათები. კურიკულუმის ჩარჩოთი ან მატრიცებით წარმოდგენილი ძირითად აქტივობები გარდა, საგნობრივ კურიკულუმში უნდა ჩანდეს მასწავლებლის მიერ შერჩეული, მოდიფიცირებული აქტივობები, (ასევე სასწავლო თემებთან დაკავშირებული ღონისძიებები, მაგ: სკოლის პრაქტიკიდან გამომდინარე-ღირებულებებზე ორიენტირებული აქტივობები, რომლებიც კავშირშია კურიკულუმში ასახულ სასწავლო თემებთან და თემის/საკითხის უფრო სიღრმისეული და ინტეგრირებული სწავლებისკენ გვიბიძგებს, ასევე სადამრიგებლო პროგრამებში

		და ღონისძიებებში გაწერილი კონკრეტული თარიღის აღნიშვნის აქტივობები, რაც უკავშირდება ბუნებისმეტყველებას). ამგვარი მოდიფიცირება საგნობრივ კურიკულუმს გახდის უფრო მოქნილს, სასკოლო კურიკულუმს კი შესძენს უნიკალობას. ესთეტიკური აღზრდა -კურიკულუმში მიეთითოს საგნისთვის განსაზღვრული საათობრივი დატვირთვა და სემესტრული განაწილება.ასევე, კურიკულუმში თითოეულ თემას/საკითხს მიეთითოს შესაბამისი საათობრივი დატვირთვა.
ინდიკატორი 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - საბუნებისმეტყველო ლაბორატორიით სარგებლობის დატვირთვის განრიგში სჯობს, გათვალისწინებულ იქნას დაწყებითი საფეხურის (თუნდაც მე-5 და მე-6 კლასების) გაკვეთილებიც. ესთეტიკური აღზრდა -მუსიკის კურიკულუმში მიეთითოს ყველა მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი, რომელსაც მასწავლებლები იყენებ, სასწავლო პროცესში და გამოიკვეთა ინტერვიუს დროს.
ინდიკატორი 2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - საგნობრივი კურიკულუმების განვითარების მიზნით, სჯობს, საგნობრივ კურიკულუმებში/მატრიცებში ჰარალელურად აისახოს ის აქტივობებიც,რომლებიც ინიცირებულია გარემოს დაცვის კლუბის მიერ, ან STEM ფესტივალის აქტივობები, ასევე კონტექსტ-მაგალითის, მაგალითები შედარებისათვის ან რესურსების საკუთარი მაგალითები, რაც მაღალი აღბათობით გახდება დიფერენცირების, ინკლუზიურ მიდგომის, სასწავლო პროცესში მოტივაციის ამაღლების და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებით დაინტერესების კიდევ ერთი საფუძველი. გარემოს დაცვის კლუბის წესდებაში განისაზღვროს, რა ფორმით მიიღებენ მონაწილეობას დაწყებითი საფეხურის მოსწავლეები. ტექნოლოგიები - კომპიუტერულ ტექნოლოგიებში სკოლას ჰყავს ორი მასწავლებელი. აქედან ერთი მოწვეული მასწავლებელი. კათედრა, დაეხმაროს მოწვეულ მასწავლებელს საგნის სწავლების მეთოდურ ნაწილში.

ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - მე-5 და მე-6 კლასში შემაჯამებელ დავალებებში სჯობს, ავირიდოთ ისეთი კითხვების შეთავაზება, რომელიც მოითხოვს მხოლოდ დეკლარატიული ცოდნის შემოწმებას, მაქსიმალურად შევამციროთ ტესტში ან საერთოდ ამოვიდოთ არჩევითბოლოიანი დავალებები, გავზარდოთ/დავამატოთ შემაჯამელ სამუშაოში შემოქმედებითი სამუშაოს წილი, რომელშიც თავისთავად გამოჩნდება ბაზისური დეკლარატიული ცოდნა, დავალებების შინაარსი ორიენტირდეს პროცედურაზე, ანალიზზე, შექმნასა და გზით. ხშირად მივმართოთ მოსწავლეთა თვითშეფასებას ამა თუ იმ ფორმით, რაც გაზრდის შეფასების ავთენტურობას. მოსწავლის მიერ შეფასებაზე არგუმენტირებული მსჯელობის სჯობს, დაინერგოს სადიაგნოსტიკო შეფასებები წარმოება დაწყებით საფეხურზე და შევიდეს სკოლის მიერ განსაზღვრულ რეგულაციის წესში. საზოგადოებრივი მეცნიერებები - საგან მე და საზოგადოებაშია გაიწეროს ცნებებზე დამიზნებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. საგან ჩვენ საქართველოში გაიწეროს ცნებებზე დამიზნებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, აგრეთვე ცნებებზე და შედეგების შეფასების ინდიკატორებზე დამიზნებული განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. ჩვენ საქართველოში შედგენილ ტესტებში წარმოდგენილ სავარჯიშოებში გათვალისწინებულ იქნას სამივე საგანი - ისტორია, მოქალაქეობა, გეოგრაფია, აგრეთვე ტესტმა შეამოწმოს როგორც ცოდნა, ისე უნარები და დამოკიდებულება/ღირებულებები. ესთეტიკური აღზრდა -სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები გამომდინარეობს სტანდარტის შედეგებიდან და თავისთავად ფარავს სამიზნე ცნებებს, თუმცა შემაჯამებელ დავალებების ანალიზის ფორმებში, სადაც წარმოდგენილია დავალების პირობა, შეფასების რუბრიკა და ანალიზი, არ არის მითითებული შესაბამისი სამიზნე ცნებები და ქვეცნებები. შეფასების
---------------------------	--	---

		კრიტერიუმები ორიენტირდეს სამიზნე ცნებებზე და ქვეცნებებზე და მიეთითოს დოკუმენტაციაშიც. სასურველია, შემაჯამებელი დავალებები მუსიკაში იყოს მრავალფეროვანი სახით წარმოდგენილი და არ მოიცავდეს მხოლოდ ტესტურ დავალებებს. განმავითარებელ შეფასებაში, როგორც მუსიკაში, ასევე სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში, მოსწავლეს მიეცეს კონკრეტული რეკომენდაციები, რომელიც შედეგის გაუმჯობესებაზე იქნება ორიენტირებული და შეფასება არ მოიცავდეს მხოლოდ აღწერას, თუ რა გააკეთა მოსწავლემ. მათემატიკა - ეროვნული სასწავლო გეგმის შეფასების სისტემის ძირითადი ამოცანაა მოსწავლის მიღწევების დიაგნოსტიკა მისი სწავლის პროცესის გასაუმჯობესებლად, რისთვისაც სასურველია სასწავლო პროცესში გამოყენებულ იქნას სადიაგნოსტიკო ტესტები. სახელმწიფო ენა - სასურველია განაახლონ სადიაგნოსტიკო შეფასებები სახელმწიფო ენის მიმართულებით მომავალი სასწავლო წლიდან, რადგან, სასწავლო წლის დასაწყისში, ზაფხულის შემდგომ მოსწავლეთა ცოდნისა და უნარების კვლევა და ანალიზი გამოკვეთს სწორ ორიენტირებს, თუ რა მიმართულებით უნდა წარმართონ მუშაობა, რა აუცილებელი ქმედებები უნდა განახორციელონ იმისათვის, რომ საკმარისად გააქტიურდეს წინარე ცოდნა და შეიქმნას კარგი ბაზისი ახალი ცოდნის/ცოდნების ასაგებად. შემდეგ კვლავ, სავარაუდოდ, სასწავლო წლის ნახევარში გადამოწმდეს მიღებული შედეგები სადიაგნოსტიკო ან სკრინინგ ტესტირებით და საჭიროების შემთხვევაში კვლავ განხორციელდეს ინტერვენციები წლის მეორე ნახევარში, რომელიც სასწავლო წლის ბოლოს ისევ დიაგნოსტიკითა და ანალიზით დასრულდება. აღნიშნული შექმნის შესაძლებლობას მომდევნო წლის კურიკულუმებში ზუსტად გაიწეროს ეროვნული სასწავლო გეგმის ის შედეგები, რაც მეტ ყურადღებასა და დამუშავებას მოითხოვს, რათა უზრუნველყოფილ იქნას საფეხურებრივი შედეგების მიღწევა.
--	--	--

ინდიკატორი 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - განმსაზღვრელი შეფასების დროს შემაჯამებელი სამუშაოების კრიტერიუმების და მოსწავლის მიღწევის დონის აღწერისთვის სჯობს, დავადგინოთ, რა ხარისხობრივი მიმართებაა სამიზნე ცნებებთან.
ინდიკატორი 2.2.2.1	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - სკოლის მიერ დამატებითი ელექტრონული რესურსები შესაძლოა, ინტეგრირდეს კურიკულუმის ჩარჩოს შესაბამის თემებში, რაც კურიკულუმს გაამდიდრებს, გაზრდის ინკლუზიურობის ხარისხს და შესძენს უნიკალობას სასკოლო კურიკულუმს
ინდიკატორი 2.2.2.4	სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი	ტექნოლოგიები - კომპიუტერულ ტექნოლოგიებში სკოლას ჰყავს ორი მასწავლებელი. აქედან ერთი მოწვეული მასწავლებელი. კათედრა, დაეხმაროს მოწვეულ მასწავლებელს საგნის სწავლების მეთოდურ ნაწილში.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი - საბაზო საფეხური	რჩევა
ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	საზოგადოებრივი მეცნიერებები - გეოგრაფია- 1.გეოგრაფიის კურიკულუმში სწორად გაიწეროს ცნებები. მაგ: გეოგრაფიული კვლევა და ანალიზი არ არის ცნება. 2.ყველა თემაში დამუშავდეს ყველა ცნება. 3. გაიწეროს კონტექსტ მაგალითები. ისტორია- მე-9 კლასის ისტორიის კურიკულუმში, პირველ თემაში, ძირითადი კონტექსტ მაგალითი და მაგალითები შედარებისთვის მოვიდეს შესაბამისობაში

		მე-7 და მე-8 კლასის კურიკულუმებში ყველა თემაში დამუშავდეს ყველა ცნება. მოქალაქეობა- მე-7 და მე-8 კლასების კურიკულუმებში გასწორდეს ცნებები მე-9 კლასის კურიკულუმის მიხედვით. საფეხური ერთია-საბაზო და ერთნაირად ოთხ ცნებაა სამივე კლასში.
ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს,	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - კურიკულუმებში სჯობს, აისახოს თემები მიხედვით სავარაუდო საათობრივი განაწილება, შეძლება მიეთითოს ე.წ.სარეზერვო საათებიც ძირითად აქტივობებს გარდა, საგნობრივ კურიკულუმში უნდა ჩანდეს მასწავლებლის მიერ შერჩეული, მოდიფიცირებული აქტივობები, რაც საგნობრივ კურიკულუმს გახდის უფრო მოქნილს, სასკოლო კურიკულუმს კი შესძენს უნიკალობას. ღონისძიებები, რომელიც უკავშირდება სასწავლო თემებს, აისახოს კურიკულუმში. საზოგადოებრივი მეცნიერებები - 1.სასურველი იქნება აქტივობები გამრავალფეროვნდეს, უმეტესად გამოყენებულია პრეზენტაციებით საკითხების წარმოდგენა. 2. ცალკე დოკუმენტად წარმოდგენილ აქტივობებს სასურველი იქნება გაეწეროს მიზანი სტანდარტის მიხედვით. მაგ: პრეზენტაცია წერა კითხვი გამაგრებულ საზოგადოებაზე. ესთეტიკური აღზრდა -კურიკულუმში მიეთითოს საგნისთვის განსაზღვრულ საათობრივი დატვირთვა და სემესტრული განაწილება.კურიკულუმში თითოეულ თემას/საკითხს მიეთითოს შესაბამისი საათობრივი დატვირთვა.
ინდიკატორი 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;	საზოგადოებრივი მეცნიერებები - მოქალაქეობის მე-7 და მე-8 კლასების კურიკულუმებში დაემატოს და დაკონკრეტდეს რესურსები /“ბუგლი“ ასეა მიითითებული/ ესთეტიკური აღზრდა -მუსიკის კურიკულუმში მიეთითოს ყველა მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი, რომელსაც მასწავლებლები იყენებენ სასწავლო პროცესში და გამოიკვეთა ინტერვიუს დროს.

ინდიკატორი 2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;	საზოგადოებრივი მეცნიერებები - სასურველი იქნება, მატრიცებში კომპლექსური ტიპის დავალების პროდუქტის არჩევანის საშუალება მიეცეთ მოსწავლეს, მათი შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებით მათემატიკა -საბაზო საფეხურის მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია დიფერენცირებულ და ინკლუზიური მიდგომები, თუმცა კათედრის მიერ გადმოგზავნილ მასალაში ამოიძებნა შესაბამისი დოკუმენტაცია. სასურველია, რომ კურიკულუმის დაგეგმვა და განხორციელებისას გათვალისწინებულ იქნას ყველა მოსწავლის მაქსიმალური ჩართულობა სასწავლო პროცესში.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - შემაჯამებელი სამუშაოების დავალებები ჰირობა სჯობს მეტად ორიენტირდეს მაღალ სააზროვნო უნარებზე, შემცირდეს ფაქტობრივი/დეკლარატიული ცოდნის გამოვლენაზე მიმართული კითხვები. შემაჯამებელ დავალებაში მაქსიმალურად შევამციროთ ან სრულად ამოვიღოთ არჩევით ბოლოიანი დავალებები, ასევე დავალებები, რომლებიც მოითხოვს უმცირესი მოცულობის (ერთი ან ორი დასახელება) პასუხებს. საზოგადოებრივი მეცნიერებები - 1.შემაჯამებელი დავალებების ტესტები გახდეს უფრო მრავალფეროვანი, სავარჯიშოები გაიწეროს ისე რომ შესაძლებელ გახდეს არა მარტო ცოდნის, არამედ უნარებისა და ღირებულება/დამოკიდებულებების შეფასება. მაგალითად მოსწავლეებმა დაწერონ ესე, გაწერონ პროექტი, გაანალიზონ წყარო, კარიკატურა, რუკა, განიხილონ დილემები და წარმოადგინონ როგორც მტკიცებითი, ისე უარყოფითი არგუმენტები. მითუმეტეს, რომ როგორც ისტორიის ისე მოქალაქეობის შემაჯამებლების ანალიზებში გამოკვეთილია პრობლემა - არგუმენტირებული მსჯელობის უნარების ნაკლებობა მოსწავლეებში. 2. გაიწეროს ისეთი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომელთა კრიტერიუმები დაემიზნება ცნებებსა და და შედეგების შეფასების ინდიკატორებს

		3. მატრიცებში მოცემული კომპლექსური ტიპის დავალებების მიხედვით გაიწერონ ცნებებზე ორიენტირებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ესთეტიკური აღზრდა -სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები გამოდინარეობს სტანდარტის შედეგებიდან. შემაჯამებელი დავალებები ანალიზის ფორმებში, სადაც წარმოდგენილია დავალების პირობა, შეფასების რუბრიკა და ანალიზი, არ არის მითითებული შესაბამისი სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, თუმცა მითითებული სტანდარტის შედეგები თავისთავად მოიცავს სამიზნე ცნებებს და ქვეცნებებს. შეფასების კრიტერიუმები ორიენტირდეს სამიზნე ცნებებზე და ქვეცნებებზე და მიეთითოს დოკუმენტაციაში. სასურველია შემაჯამებელი დავალებები მუსიკაში იყოს მრავალფეროვანი სახიდი წარმოდგენილი და არ მოიცავდეს მხოლოდ ტესტურ დავალებებს. სასურველია კომპლექსური დავალების ფარგლებში, შემუშავდეს სოლო ტაქსონომიის დონეების მიხედვით, თუ რა უნდა გააქეთოს მოცემული დავალების ფარგლებში მოსწავლემ. აღნიშნული რეკომენდაცია დაეხმარება მასწავლებლებს უკეთ შეძლონ მოსწავლის მიღწევის დონის შეფასება. სახელმწიფო ენა - სასურველია განაახლონ სადიაგნოსტიკო შეფასებები სახელმწიფო ენის მიმართულებით მომავალი სასწავლო წლიდან, რადგან, სასწავლო წლის დასაწყისში, ზაფხულის შემდგომ მოსწავლეთა ცოდნისა და უნარების კვლევა და ანალიზი გამოკვეთს სწორ ორიენტირებს, თუ რა მიმართულებით უნდა წარმართონ მუშაობა, რა აუცილებელი ქმედებები უნდა განხორციელონ იმისათვის, რომ საკმარისად გააქტიურდეს წინარე ცოდნა და შეიქმნას კარგი ბაზისი ახალი ცოდნის/ცოდნების ასაგებად. შემდეგ კვლავ, სავარაუდოდ, სასწავლო წლის ნახევარში გადამოწმდეს მიღებული შედეგები სადიაგნოსტიკო ან სკრინინგ ტესტირებით და საჭიროების შემთხვევაში კვლავ განხორციელდეს ინტერვენციები წლის მეორე ნახევარში, რომელიც სასწავლო წლის ბოლოს ისევ დიაგნოსტირებითა და ანალიზით დასრულდება. აღნიშნული
--	--	---

		შექმნის შესაძლებლობას მომდევნო წლის კურიკულუმებში ზუსტად გაიწეროს ეროვნული სასწავლო გეგმის ის შედეგები, რაც შეტყობინებასა და დამუშავება მოითხოვს, რათა უზრუნველყოფილ იქნას საფუძვრებრივი შედეგების მიღწევა.
ინდიკატორი 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - შემაჯამებელი საშუალების კრიტერიუმების და მოსწავლის მიღწევის დონის აღწერისთვის სჯობს, დავადგინოთ სამიზნე ცნებებთან ხარისხობრივი მიმართება. ესთეტიკური აღზრდა -მუსიკაში, IX კლასში განხორციელებული კომპლექსური დავალება (თემა მითი და რეალობა მუსიკაში) ითვალისწინებდა რიტუალებზე დაყრდნობით ესეს დაწერას სათაურით „რიტუალის მუსიკალური თუ არამუსიკალური ასპექტის მნიშვნელობა და სტატუსი (აიკონი, ინდექსი, სიმბოლო), მითის შინაარსის გადმოცემის დროს“. სკოლის მიერ წარმოდგენილია მოსწავლეთა ნამუშევრები, რომელიც სოლო ტაქსონომიით არის შეფასებული. აღნიშნული დავალებები არ წარმოადგენს ესეს და მოიცავს მხოლოდ კომპლექსური დავალების პირობაში მოცემულ კითხვებზე პასუხებს, რომელიც მოსწავლეს დაეხმარებოდა ესეს დაწერაში. შეფასებაში არ არის მითითებული, რომ მოსწავლის ნამუშევარი არ იყო ესეს სახით წარმოდგენილი. განმავითარებელ შეფასებაში, როგორც მუსიკაში, ასევე სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში, მოსწავლეს მიეცეს კონკრეტული რეკომენდაციები, რომელიც მოსწავლის შედეგის გაუმჯობესებაზე იქნება ორიენტირებული.
ინდიკატორი 2.2.2.1	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - სკოლის მიერ დამატებითი ელექტრონული რესურსები შესაძლოა, ინტეგრირდეს კურიკულუმის ჩარჩოს შესაბამის თემაში, რაც კურიკულუმს გაამდიდრებს, გაზრდის ინვლუზიურობის ხარისხს და შესძენს უნიკალობას სასკოლო კურიკულუმს
ინდიკატორი 2.2.2.2	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - სასწავლო რესურსების მიმართ მოთხოვნები შესაძლოა, ჩამოყალიბდეს ცალკე დოკუმენტად

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი - საშუალო საფეხური	რჩევა
ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - კურიკულუმის ჩარჩოში დაგეგმილი შუალედური მიზანი, რომელიც წარმოადგენს კონკრეტულ თემასთან დაკავშირებულ კომპლექსური ბუნების დავალებას/შემოქმედებით პროდუქტს, დაურთეთ იქვე. მე-11 კლასის ბიოლოგიის კურიკულუმში - გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი - ხილული გახდეს რესურსების გრაფაში მოქცეულ ინფორმაცია, გასწორდეს კურიკულუმის ჩარჩოში ცნებები (თემა გენეტიკა) ქვემოთ დართული მატრიცის შესაბამისად, მკაფიოდ გამოიკვეთოს შემოქმედებითი პროდუქტი, განისაზღვროს შეფასების კრიტერიუმები მოცემული შემოქმედებითი პროდუქტის შექმნისას. მე-11 კლასის ფიზიკის კურიკულუმში არ ჩანს მე-2 თემაში” რხევები და ტალღები” და მე-3 თემაში “გეომეტრიული ოპტიკა”, შერჩეული კომპლექსური ბუნების დავალებების იდეა, შესაბამისი კონტექსტ-მაგალითები. საზოგადოებრივი მეცნიერებები - ისტორია - 11 კლ საქ ისტორიის კურიკულუმში ყველა თემაში გაიწეროს ყველა ცნება. მოქალაქეობა- გაიწეროს მე-10 და მე-11 კლასებში მოქალაქეობაში პროექტული სწავლების კურიკულუმი. მათემატიკა - XII კლასის კურიკულუმი შემუშავდეს ყველა აუცილებელი კომპონენტის თემა/სამიზნე ცნებები/ქვეცნებების გათვალისწინებით. ესთეტიკური აღზრდა - სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმის ჩარჩოში მიეთითოს მხოლოდ ის ორი თემა, რომელიც არჩეული აქვს სკოლას და

		ახორციელებს. სათაურში კი კომპლექსური დავალების იდეის ნაცვლად ჩაიწეროს პროექტის იდეა. მუსიკის კურიკულუმში, პროექტული დავალების იდეაში, თემის სათაურის ნაცვლად დაიწეროს პროექტის იდეა და პროდუქტი, რომელიც უნდა შექმნას მოსწავლემ პროექტის ფარგლებში
ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - იმ თემებში, რომლებშიც მუალედური მიზნები არ წარმოადგენს კომპლექსური ბუნების დავალებებს და დაგეგმილია ძირითადად წერიითი შემაჯამებელი სამუშაოები, სჯობს, მოსწავლეებს მევთავაზოთ შემაჯამელი სამუშაოების ისეთი ფორმატი, რომელიც მოსწავლეთ. მხრიდან მოითხოვს დავალების შემოქმედებითად გადაწყვეტას და პროდუქტის შექმნას სხვადასხვა ფორმით. ნებისმიერი შემაჯამებელი დავალება (მათ შორის ტრადიციული ფორმის ე წ ტესტი) უნდა ორიენტირდებოდეს გრძელვადიან მიზნებზე (თემის ფარგალში ყველა სამიზნე ცნება) და მკაფიოდ ასახავდეს შეფასების კრიტერიუმებს,(მათ შორის ტრადიციული ტესტის შეფასების სქემა) რომელიც მიემართება სამიზნე ცნებების მკვიდრ წარმოდგენებს. თემის ფარგლებში სჯობს მიეთითოს სავარაუდო საათები. კურიკულუმის ჩარჩოთი ან მატრიცებით წარმოდგენილ ძირითად აქტივობებს გარდა, საგნობრივ კურიკულუმში უნდა ჩანდეს მასწავლებლის მიერ შერჩეული, მოდიფიცირებული აქტივობები,(ასევე სასწავლო თემებთან დაკავშირებული ღონისძიებები, მაგ: სკოლის პრაქტიკიდან გამომდინარე -ღირებულებებზე ორიენტირებული აქტივობები, რომლებიც კავშირშია კურიკულუმში ასახულ სასწავლო თემებთან და თემის/საკითხის უფრო სიღრმისეული და ინტეგრირებული სწავლებისკენ გვიბიძგებს). ამგვარი მოდიფიცირება საგნობრივ კურიკულუმს გახდის უფრო მოქნილს, სასკოლო კურიკულუმს კი შესძენს უნიკალობას.

		საზოგადოებრივი მეცნიერებები - დაზუსტდეს კომპლექსური ტიპის დავალებების პროდუქტები გეოგრაფიის მე-10 და მე-11 კლასების კურიკულუმებში. ესთეტიკური აღზრდა - კურიკულუმში მიეთითოს საგნისთვის განსაზღვრული საათობრივი დატვირთვის ფარგლებში საათების სემესტრული განაწილება .ასევე, კურიკულუმში თითოეულ თემას/საკითხს მიეთითოს შესაბამისი საათობრივი დატვირთვა.
ინდიკატორი 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;	საზოგადოებრივი მეცნიერებები - მე-10 და 11 კლასების ისტორიის კურიკულუმებში შედეგზე გასასვლელად სახელმძღვანელოს გარდა სხვა რესურსებიც უნდა გაიწეროს, სადაც გაწერილია დაკონკრეტდეს გვერდი, ამონარიდი და ა.შ. მითითებულია მაგ: ფუშე შარტლელი „ იერუსალიმის ისტორია“ , ანა კომნენოსი „აღუქსიდა“, იბნ ალ ასირი „მსოფლიო ისტორიის კრებული“ , რობერ დეკლარი „კონსტანტინოპოლის აღება“ . ესთეტიკური აღზრდა - მუსიკის კურიკულუმში მიეთითოს ყველა ის მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი, რომელსაც მასწავლებელი იყენებენ სასწავლო პროცესში და გამოიკვეთა ინტერვიუს დროს.
ინდიკატორი 2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - საგნობრივი კურიკულუმების განვითარების მიზნით, სჯობს, საგნობრივ კურიკულუმებში/მატრიცებში ჰარაღელურად აისახოს ალტერნატიული აქტივობები, მოდიფიცირებული აქტივობები, სკოლის მიერ შეთავაზებული ან მასწავლებლის მიერ ორგანიზებული რესურსები, რომლებიც განსაზღვრულია მასწავლებლის/კათედრის ანგარიშების, მასწავლებლის და მოსწავლის რეფლექსიების, მშობელთა უკუკავშირის საფუძველზე. სჯობს, STEM საფესტივალო აქტივობები შესაბამისად აისახოს საგნობრივ კურიკულუმებში კონტექსტ-მაგალითის, მაგალითები შედარებისათვის ან რესურსების ხელახალი

		გააზრების შემდეგ, რაც მაღალი ალბათობით გახდება დიფერენცირების, ინკლუზიური მიდგომის, მოტივაციის ამაღლების კიდევ ერთი საფუძველი. მათემატიკა - საშუალო საფეხურის მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები, თუმცა კათედრის მიერ გადმოგზავნილ მასალაში ამოიძებნა შესაბამისი დოკუმენტაცია. სასურველია, რომ კურიკულუმის დაგეგმვის და განხორციელებისას გათვალისწინებულ იქნას ყველა მოსწავლის მაქსიმალური ჩართულობა სასწავლო პროცესში.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ კრიტერიუმებს, მიზნებსა და ამოცანებს.	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - შემაჯამებლების დავალებებში : სხვადასხვა სირთულის და მოცულობის დავალებებში მინიჭებულია ერთი და იგივე ქულა, კითხვებში ხშირია ტესტური არჩევითბოლოიანი დავალებები, ზოგიერთი ღია კითხვის დავალება ორიენტირებულია დეკლარატიული ცოდნის დონეზე, დაბალი წილი აქვს მაღალ სააზროვნო დონეზე გათვლილ დავალებებს შესაბამისად: შემაჯამებელი სამუშაოების დავალებების პირობა სჯობს, მეტად ორიენტირდეს მაღალ სააზროვნო უნარებზე, შემცირდეს ფაქტობრივი/დეკლარატიული ცოდნის გამოვლენაზე მიმართული კითხვები. შემაჯამებელ დავალებაში მაქსიმალურად შევამციროთ ან სრულად ამოვიდოთ არჩევით ბოლოიანი დავალებები, ასევე დავალებები, რომლებიც მოითხოვს უმცირესი მოცულობის (ერთი ან ორი დასახელება) პასუხებს. საზოგადოებრივი მეცნიერებები - სამივე საგანში, საშუალო საფეხურზე გაიწეროს ცნებებისა და შედეგების შეფასების ინდიკატორების მიხედვით განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, მე-11 კლასის მოქალაქეობის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის გათვალისწინებით. სახელმწიფო ენა - სასურველია განაახლონ სადიაგნოსტიკო შეფასებები სახელმწიფო ენის მიმართულებით მომავალი სასწავლო წლიდან, რადგან,

		სასწავლო წლის დასაწყისში, ზაფხულის შემდგომ მოსწავლეთა ცოდნისა და უნარების კვლევა და ანალიზი გამოკვეთს სწორ ორიენტირებს, თუ რა მიმართულებით უნდა წარმართონ მუშაობა, რა აუცილებელი ქმედებები უნდა განახორციელონ იმისათვის, რომ საკმარისად გააქტიურდეს წინარე ცოდნა და შეიქმნას კარგი ბაზისი ახალი ცოდნის/ცოდნების ასაგებად. შემდეგ კვლავ, სავარაუდოდ, სასწავლო წლის ნახევარში გადამოწმდეს მიღებული შედეგები სადიაგნოსტიკო ან სკრინინგ ტესტირებით და საჭიროების შემთხვევაში კვლავ განხორციელდეს ინტერვენციები წლის მეორე ნახევარში, რომელიც სასწავლო წლის ბოლოს ისევ დიაგნოსტირებითა და ანალიზით დასრულდება. აღნიშნული შექმნის შესაძლებლობას მომდევნო წლის კურიკულუმებში ზუსტად გაიწეროს ეროვნული სასწავლო გეგმის ის შედეგები, რაც მეტ ყურადღებასა და დამუშავებას მოითხოვს, რათა უზრუნველყოფილ იქნას საფეხურებრივი შედეგების მიღწევა.
ინდიკატორი 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - შემაჯამებელი სამუშაოების კრიტერიუმების და მოსწავლის მიღწევის დონის აღწერისთვის სჯობს, დავადგინოთ, რა ხარისხობრივი მიმართებაა სამიზნე ცნებებთან. ესთეტიკური აღზრდა - სკოლის მიერ წარმოდგენილია შეფასების სქემები როგორც მუსიკაში, ასევე სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში. აღნიშნული შეფასების სქემები არის სტანდარტის შედეგებზე მორგებული, თუმცა ზოგადი ხასიათისაა. სასურველია შემუშავდეს ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული შედეგების გათვალისწინებით, უშუალოდ პროექტზე მორგებული შეფასების რუბრიკებიც, რაც ბევრად უფრო ნათელს გახდის მოსწავლისთვის შეფასების კრიტერიუმებს და უზრუნველყოფს მეტ გამჭვირვალობას, სანდოობას, ობიექტურობას და სამართლიანობას.

ინდიკატორი 2.2.2.1	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - სკოლის მიერ დამატებითი ელექტრონული რესურსები შესაძლოა, ინტეგრირდეს კურიკულუმის ჩარჩოს შესაბამის თემებში, რაც კურიკულუმს გაამდიდრებს, გაზრდის ინკლუზიურობის ხარისხს და შესძენს უნიკალობას სასკოლო კურიკულუმს
ინდიკატორი 2.2.2.2	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - სასწავლო რესურსების მიმართ მოთხოვნები, რომელიც გააზრებული აქვს კათედრას და ასახულია ოქმში, შესაძლოა, ჩამოყალიბდეს ცალკე დოკუმენტად. ეს არ გამოირიცხავს იმას, რომ რესურსი, რომელიც შექმნილია სწავლების პროცესში სასწავლო წლის მანძილზე მოსწავლის ან მასწავლებლის მიერ, იქცეს მაღალი სასწავლო ღირებულების რესურსად.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებიდან გამომდინარე

შპს ქართულ გერმანული სკოლა სხივში განხორციელებული ბოლო წარმოება - ავტორიზაცია - 2022 წლის აპრილის თვით თარიღდება. როგორც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნიდან ირკვევა, დაწესებულებას ხარვეზი არ უფიქსირდება არცერთ სტანდარტში, ასევე, არ ყოფილა გაცემული არცერთი რეკომენდაცია, რომელიც სკოლას სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველყოფას განაპირობებდა.

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის II სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი _ დაწყებითი საფეხური	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის II სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს;
2. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს;
3. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს;
4. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს;

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შპს ქართულ-გერმანული სკოლა სხივის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- სასკოლო საზოგადოების გამოკითხვა - კითხვარები, გამოკითხვის შედეგები;
- შპს ქართულ-გერმანული სკოლა სხივის კათედრის სხდომის ოქმები;
- შპს ქართულ-გერმანული სკოლა სხივის მშობელთა კრების ოქმები;
- შპს ქართულ-გერმანული სკოლა სხივის პედაგოგიური საბჭოს ოქმი;

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;
3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;
5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს;
2. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს;
3. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს;
4. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს;
5. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შპს ქართულ-გერმანული სკოლა სხივის სასკოლო სასწავლო გეგმა;

- საგნობრივი კურიკულუმები დაწყებით საფეხურზე;
- კათედრის ოქმები დანართებით (#1-#6 დანართი)
- დაწყებითი საფეხურის შემაჯამებელი დავალებები და შესრულებული ნიმუშები, მათ შორის ინტეგრირებული გაკვეთილების ვიდეორესურსი;
- სასწავლო პროცესის მონიტორინგი- პრეზენტაცია;
- სკოლის მიერ წარმოდგენილი ანგარიშები (სასწავლო ნაწილის, ხარისხის განვითარების ჯგუფის);
- ურთიერთდასწრებების ამსახველი მასალები;
- ვებგვერდზე <https://skhivi.edu.ge/> და სოციალურ ქსელში META <https://www.facebook.com/www.sxivi.ge/> განთავსებული მასალები;
- ადგილზე ვიზიტისას ინტერვიუ მასწავლებლებთან, მშობლებთან, მოსწავლეებთან.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

1. სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად;
2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს;
2. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს;
3. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს;
4. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს;
5. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შპს ქართულ-გერმანული სკოლა სხივის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- საგნობრივი კურიკულუმები დაწყებით საფეხურზე;
- კათედრის ოქმები დანართებით (#1-#6 დანართი);
- სასწავლო პროცესის მონიტორინგი- პრეზენტაცია;
- ვერიფიკაციის ამსახველი მასალები (ზოგადი დოკუმენტაცია და პერსონალური ვერიფიკაცია);
- სკოლის მიერ წარმოდგენილი ანგარიშები (სასწავლო ნაწილის, ხარისხის განვითარების ჯგუფის);
- ურთიერთდასწრებების ამსახველი მასალები;
- ადგილზე ვიზიტისას ინტერვიუ მასწავლებლებთან, მშობლებთან, მოსწავლეებთან.

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

1. კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში;
2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას;
3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.
